04/03/2026

MES 3 26 0000261650

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.02.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:00
სხდომის დასრულების დრო: 16:10
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ციური დურული

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში – აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** -შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
7. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
8. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
9. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი;

10. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
11. **მაქსიმ იავიჩი**- შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
14. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- ანა ქერაშვილი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ
ელი ელისაშვილი - რექტორი
მარიამ დარბაიძე - ვიცე რექტორი
ანა მახარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გიორგი ღაღანიძე - ფაკულტეტის დეკანი

სსიპ -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ელენე ჟურავლიოვა - პროგრამის ხელმძღვანელი
თამარ ბარბაქაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
დავით თარხნიშვილი - ფაკულტეტის დეკანი

აკრედიტაციის ექსპერტები:
ეკატერინე ფიფია I
ილია ბოცვაძე I
მერაბიშვილი I
ზაქარაძე II
თამთა ცხოვრებაძე III, IV
ხარაზიშვილი III, IV
ანა მიხელიძე III, IV
ინგა დიასამიძე V
ალანია VI

აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ,,სინოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;
4. სსიპ -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ,,სინოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგი;
4. სსიპ -თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგი;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ,,სინოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერსაბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას და მისი სიტყვა დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა:
მოკლედ წარმოგიდგენთ აკრედიტაციის პროცესს და მის ძირითად დასკვნებს. აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 5 დეკემბერს და მას წინ უძღოდა მოსამზადებელი შეხვედრა ექსპერტთა პანელსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შორის. ვიზიტის განმავლობაში პანელი იღებდა უწყვეტ პროფესიულ მხარდაჭერას NCEQE-ის წარმომადგენლებისგან, მათ შორის მაღალი ხარისხის თარგმნას, რაც უზრუნველყოფდა შეფასების პროცესის შეუფერხებელ და გამჭვირვალე განხორციელებას.
პანელი მადლობას უხდის ვიზიტის მომზადებასა და ჩატარებაში ჩართულ ყველა მხარეს. აკრედიტაციის ანგარიში მომზადდა პანელის მიერ კოლექტიურად და სრული კონსენსუსი იქნა მიღწეული ყველა მიგნებაზე, შეფასებასა და რეკომენდაციაზე.

გაცემული რეკომენდაციები ძირითადად მიმართულია პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო გეგმისა და სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის დონეებს შორის შესაბამისობის გაძლიერებისაკენ, ასევე კურსების თანმიმდევრობის გაუმჯობესებისკენ, სილაბუსების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფისა და სასწავლო მასალების განახლებისკენ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გაეცნო ანგარიშის პროექტს და გაიზიარა რეკომენდაციების უმრავლესობა, რის შედეგადაც განხორციელდა კონკრეტული ცვლილებები პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში, სილაბუსებსა და სასწავლო გეგმის სტრუქტურაში. ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ინგლისური ენის სავალდებულო განვითარების

კურსებს, დაწესებულებამ არ გაიზიარა; თუმცა, ექსპერტთა პანელი ინარჩუნებს აღნიშნულ რეკომენდაციას აკადემიური თანასწორობისა და ინგლისურენოვანი პროგრამის ეფექტიანი სწავლების უზრუნველყოფის ინტერესებიდან გამომდინარე.
საერთო ჯამში, პანელი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციის პროცესი წარიმართა პროფესიონალურად, გამჭვირვალედ და კონსტრუქციულად, რაც ასახავს დაწესებულების მუდმივ მზაობას ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა მარიამ დარბაიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და წარმოდგენილი განმავითარებელი რეკომენდაციებისთვის. დაწესებულების დამაარსებელია „ჩინეთის საერთაშორისო განათლების ჯგუფი" და ამიტომ ნიშურია „სინოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის განხორციელება. პროგრამის პერსონალი აქტიურად არის ჩართული ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილ ჩინური ენის სწავლების პროგრამებში.

უნივერსიტეტის რექტორმა, ელი ელისაშვილმა განმარტა, რომ სინოლოგია ახალგაზრდა დარგია საქართველოში და დაწესებულება მაქსიმალურად შეეცდება ამ დარგის განვითარებას. გაცემული რეკომენდაციები იყო განმავითარებელი ხასიათის და მათი ძირითადი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის პერსონალი ასევე არის ჩინური ენისა და ჩინეთისმცოდნეობის მიმართულებით შექმნილი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო რესურსების ავტორი.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ანა მახარაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა ტექნიკური და არა შინაარსობრივი ხასიათის იყო. მისი განმარტებით, პროგრამაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, განსაკუთრებით თარგმნის პროცესის შედეგად წარმოშობილი უზუსტობები. გაზიარებული რეკომენდაციების საფუძველზე აღნიშნული ტექნიკური ხარვეზები უკვე გამოსწორდა, თუმცა ამას პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე გავლენა არ მოუხდენია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ 2.1 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ითხოვა დამატებითი განმარტება.
მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის წინაპირობად ინგლისური ენის მოთხოვნის მკაფიოდ დაფიქსირებას. აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია როგორც ქართველი სტუდენტებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის. ვინაიდან პროგრამა ინგლისურენოვანია, უნივერსიტეტმა თავდაპირველად არ ჩათვალა საჭიროდ აღნიშნული ინფორმაციის ცალკე მითითება. პროგრამის წინაპირობაში მითითებულია, რომ სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს ინგლისური ენის კომპეტენციის არანაკლებ B2 დონეს. უნივერსიტეტს მოქმედი პროგრამებისთვის განსაზღვრული აქვს ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესი და პროცედურები, რაც მოიცავს გამოცდის ჩაბარებას ოთხივე ენობრივ ასპექტში, შემდგომ გასაუბრებას კომისიასთან და საბოლოოდ ჩარიცხვას. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ აპლიკანტთა უკეთ ინფორმირების მიზნით შესაძლებელია განაცხადის ფორმაში დამატებით მიეთითოს მოთხოვნა ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარებისა და მინიმუმ 70%-იანი შედეგის მიღების შესახებ. თუმცა, ამ ეტაპზე ქართველი სტუდენტებისთვის 60%-იანი შედეგიც საკმარისად ითვლება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა დააზუსტა ეთანხმება თუ არა დაწესებულება გაცემულ რეკომენდაციებს.
მარიამ დარბაიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

სხდომაზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:59

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ,,სინოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 14
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუს ,,სინოლოგიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია კლასტერის ვადით, 2030 წლის 01 მაისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადეს თამარ ზარანდიამ და ქეთევან აფთარაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური და შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
აკრედიტაციის ექსპერტმა, ეკატერინე ზაქარაძემ ისაუბრა დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა მათგანი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა საქართველოში რიგით მეორე აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაა და ამავდროულად უნიკალურია, რადგან წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „თავდაცვის აღმშენებლობის სკოლის" მიერ ერთობლივად შემუშავებულ პროგრამას. მისი თქმით, სააკრედიტაციო წარმოების პროცესში ძირითადი ორიენტირი იყო ხარისხი და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა, რამაც პროგრამა კონკურენტუნარიანი გახადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:07
დასრულების დრო: 15:09

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 12
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეროვნული

უსაფრთხოების პოლიტიკა საჯარო მმართველობაში" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მესამე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
აკრედიტაციის ექსპერტმა, ლევან ხარაზიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შეასრულა. თუმცა, მისი თქმით, საჭირო იყო დამატებითი რეკომენდაციის შესრულება, რომელიც უკავშირდება პრაქტიკულ ნამუშევართან ერთად თეორიული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის საკითხს. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ საკითხზე უნივერსიტეტი დაეთანხმა ექსპერტთა პოზიციას და მომავალში შესაბამის ცვლილებას პროგრამაში დანერგავს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ 1.3 კომპონენტის გარდა ყველა კომპონენტი შეფასებულია როგორც „სრულად შესაბამისად". 1.3 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად", ვინაიდან გამოიკვეთა უნივერსიტეტის მხრიდან სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გეგმის შემუშავების საჭიროება, რომელიც პროგრამის სპეციფიკას გ ა ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ს .
აღნიშნული გეგმის ფარგლებში უნდა განისაზღვროს საკვანძო კომპონენტები, რომელთა მეშვეობითაც შეფასდება სწავლის შედეგების მიღწევა, განხორციელდება შესაბამისი ანალიზი და მიღებული დაკვირვებები გამოყენებული იქნება პროგრამის შიდა ხარისხის გაუმჯობესების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ღაღანიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მექანიზმში დარგობრივი ნიშნულების დანერგვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს რამდენჯერმე ჰქონია რეკომენდაცია, თუმცა განმარტება სჭირდება თუ რატომ არჩევს უნივერსიტეტი უფრო ზოგად,

ფართო ნიშნულებს. რა თქმა უნდა, პროგრამა ზრდის კონკრეტული დარგის სპეციალისტს და ამაში უმნიშვნელოვანესია ძირითადი სპეციალობის კურსები. თუმცა, სტუდენტის მიერ თავისი ნაშრომის კრიტიკულად შეფასება მოითხოვს ზოგად ცოდნას ისეთი კურსებიდან, მაგალითად, როგორიცაა მსოფლიო ხელოვნების ისტორია და ა.შ. სტუდენტმა თავისი პროდუქტის შესახებ საკუთარი აზრების გარდა, ყურადღება უნდა მიაქციოს საზოგადოების მიერ შეფასებასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები: საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ დაუსვამთ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:23

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეოთხე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია:
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამთა ცხოვრებაძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის მსგავსად, ანალოგიური რეკომენდაცია გაცემული იყო სამაგისტრო პროგრამისთვისაც 1.3 კომპონენტის ფარგლებში. მისი განმარტებით, სამაგისტრო ნაშრომის კურსი კონცეფციის ნაწილით არ უნდა შემოიფარგლებოდეს და აუცილებელია მოიცავდეს სრულფასოვან სამეცნიერო-კვლევით კომპონენტსაც. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო წინა შეფასების პროცესშიც. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები განახორციელა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, გადადგმული ნაბიჯები კვლავ არ არის საკმარისი.

ამასთან, წინა შეფასებისას გაცემული იყო რეკომენდაცია ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებითაც. მართალია, საანგარიშო პერიოდში აკადემიური პერსონალის რაოდენობა ერთი ერთეულით გაიზარდა, თუმცა აღნიშნული საკითხი კვლავ პრობლემურად რჩება და დღის წესრიგში დგას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული რეკომენდაცია თავიდანვე მტკივნეული იყო, ვინაიდან იგი ფინანსურ საკითხებს უკავშირდებოდა. მისი თქმით, ამჟამად უნივერსიტეტი ელოდება ზაფხულის აკადემიურ კონკურსს ვაკანტურ პოზიციებზე. აღნიშნული პროცესის შესახებ ინფორმირებულია როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ისე საქართველოს კულტურის სამინისტრო. სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ აკადემიაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, სახელოვნებო მიმართულებებში აქცენტი ძირითადად კეთდებოდა მხატვრულ პროდუქტზე, ხოლო მოკლე განმარტებითი ბარათები მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ კლასტერულ აკრედიტაციამდე შეიმუშავა დიპლომანტის გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული, თუ რას უნდა მოიცავდეს თეზისი.

მისი განმარტებით, სახელოვნებო კვლევა ("Artistic Research") მოიცავს სახელოვნებო პროდუქტის შექმნის სრულ პროცესს — იდეის ჩამოყალიბებიდან საბოლოო შედეგამდე. აღნიშნული მიდგომა სტუდენტებისთვის განმარტებული იყო ხელოვნებათმცოდნეების მიერ. ამ მეთოდოლოგიით შესრულებული ნაშრომების დაცვა დაგეგმილია ზაფხულის პერიოდში.

სადიპლომო თემის შერჩევის შემდეგ სტუდენტი, ხელოვნებათმცოდნის კონსულტაციით, ამზადებს კვლევის კონცეფციას, რის შემდეგაც დამოუკიდებლად აგრძელებს მუშაობას სახელოვნებო კვლევის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:30

დასრულების დრო: 15:38

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 22 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ხარვეზის გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღიანი ვადა.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ და თამარ ზარანდიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ს ა ქ მ ი ს მ ა ს ა ლ ე ბ ს .
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
აკრედიტაციის ექსპერტმა, ინგა დიასამიძემ გააცნო დამსწრეებს შეფასების ძირითადი მახასიათებლები და დასკვნაში აღწერილი გარემოებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჟვანიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული სამუშაოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყების დრო: 15:42
დასრულების დრო: 15:47

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ და თამარ ზარანდიამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ს ა ქ მ ი ს მ ა ს ა ლ ე ბ ს .
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
აკრედიტაციის ექსპერტმა, მაგდა ალანიამ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ითვალისწინებდა „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის" კურსის სავალდებულო კურსებში გადატანას. მისი განმარტებით, უნივერსიტეტმა რეკომენდაციას შინაარსობრივად უპასუხა და ერთ-ერთ სავალდებულო კურსს დაემატა სტატისტიკის კომპონენტი. თუმცა, შესრულების ტექნიკური ფორმა განსხვავებული იყო.

თამარ ბარბაქაძემ დააზუსტა, რომ აღნიშნულის მიუხედავად, „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის" კურსი პროგრამაში კვლავ დარჩა არჩევითი კურსის სტატუსით.

ელენე ჟურავლიოვამ განმარტა, რომ „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის" კურსი უფრო ფართო შინაარსისაა და მოიცავს პოპულაციური სტატისტიკის მეთოდებს, რის გამოც მიზანშეწონილად ჩაითვალა მისი არჩევით კურსად შენარჩუნება. ამავდროულად, „ბიოტექნოლოგიური მეთოდების" კურსში ინტეგრირდა ის სავალდებულო სტატისტიკური ცოდნა, რომელიც სტუდენტს აუცილებელია ბიოქიმიის სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად. მისი თქმით, მეთოდური მიდგომების პარალელურად სტუდენტი ეუფლება სტატისტიკური ანალიზის იმ ძირითად მეთოდებს, რომლებიც მას კვლევითი საქმიანობისას ნებისმიერ შემთხვევაში დასჭირდება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს სურს სტატისტიკური ცოდნის გაღრმავება, მას შესაძლებლობა აქვს აირჩიოს როგორც „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის", ისე შესაბამისი ბიოტექნოლოგიური კურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები:
საბჭოს წევრმა, ნარგულ ასანიძემ იკითხა, რა პრიორიტეტები გამოიკვეთა შრომის ბაზრის კვლევის შედეგად სწავლის შედეგების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რაც გათვალისწინებულია რეკომენდაციაში.

ელენე ჟურავლიოვამ განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დამატებული იყო საბჭოს მიერ და იმ პერიოდში მსგავსი რეკომენდაციები ხშირად გაიცემოდა. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ჩაატარა ფოკუს-ჯგუფები, რომელთა შედეგად, ინგლისურ ენასთან ერთად, გამოიკვეთა „რიფორთინგის" (ანგარიშგების/კვლევის შედეგების წარმოდგენის) უნარის საჭიროება. ასევე, მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ახალი მეთოდების ათვისებისა და მათთან ადაპტირების უნარზე.

მისივე განმარტებით, აკრედიტაციის შემდეგ პროგრამამ წარადგინა 3-წლიანი ანგარიში, ხოლო 2026 წელს წარადგენს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშს. აღნიშნული შეფასებების ფარგლებში პერიოდულად ტარდება შრომის ბაზრის კვლევა და პროგრამა ცდილობს, მაქსიმალურად უპასუხოს შრომის ბაზრის აქტუალურ გამოწვევებს.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამას დიდი ხანია იცნობს და იგი გამორჩეულია როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო მიმართულებით. მისი შეფასებით, სტატისტიკის კურსთან დაკავშირებული მიღებული გადაწყვეტილება არის ოპტიმალური და მიზანშეწონილი.

სხდომაზეგამოცხადდასათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:58
დასრულების დრო: 16:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2026 წლის 17 თებერვლის 16:10 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე